

პრესრელიზი

მსოფლიო ბანკის ვიცე-პრეზიდენტი ლორა თავაძე საქართველოში სამდლიან ვიზიტს ასრულებს

თბილისი, 2014 წლის 8 ნოემბერი - მსოფლიო ბანკის ვიცე-პრეზიდენტმა ევროპის და ცენტრალური აზიის რეგიონში ლორა თავაძემ 2013 წლის სექტემბერში აღნიშნული თანამდებობების დაკავების შემდეგ საქართველოში თავისი პირველი ოფიციალური ვიზიტი დაასრულა. სამდლიანი სტუმრობის დროს ქალბატონმა თავაძემ ხაზი გაუსვა იმას, რომ მსოფლიო ბანკი გააგრძელებს ქვეყნის საბაზრო ეკონომიკისთვის მნიშვნელოვანი რეფორმების მხარდაჭერას, რომელიც ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის წახალისებას, კონკურენტუნარიანობის ზრდას, ბიზნეს გარემოს კიდევ უფრო ხელშეწყობას, მეტი სამუშაო ადგილის შექმნასა და სახელმწიფო მომსახურებების მიწოდების გაუმჯობესებას ითვალისწინებს.

ვიზიტის ფარგლებში ქალბატონი თავაძე საქართველოს პრემიერ მინისტრს, მის ეკონომიკურ გუნდს და პრეზიდენტს შეხვდა. მან, ასევე, შეხვედრები გამართა კერძო და სამოქალაქო სექტორის და აკადემიის წარმომადგენლებთან, ახალგაზრდებთან და განვითარების საკითხებზე მომუშავე სხვა ორგანიზაციებთან.

პრემიერ მინისტრთან ირაკლი ღარიბაშვილთან შეხვედრისას ქალბატონმა თავაძემ ხაზი გაუსვა, რომ მსოფლიო ბანკის ჯგუფი მხარს უჭერს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის - საქართველო 2020 განვითარების ამოცანებს. მან, ასევე, კმაყოფილება გამოთქვა მთავრობის მიერ მოწყვლადი მოსახლეობის დახმარებაზე ყურადღების გამახვილებისა და ქართველი ხალხის კეთილდღეობის ზრდისკენ მიმართული ქმედებების გამო.

„ხარისხიან სახელმწიფო მომსახურებაზე წვდომის ზრდა ადამიანთა ცხოვრების გაუმჯობესებისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია“, განაცხადა ქალბატონმა თავაძემ. *„ჩვენ მოხარული ვართ საქართველოს მთავრობასთან რეფორმების პროგრამაზე მუშაობით, რომელიც მოიცავს გაუმჯობესებულ მომსახურებას ჯანდაცვის სფეროში, სკოლამდელ განათლებას და მიზნობრივ სოციალურ დახმარებას. ჩვენი აზრით, აღნიშნული რეფორმები სიღარიბის შემცირებას დაეხმარება. განსაკუთრებით, სოფლად და შორეულ რაიონებში. გარდა ამისა, ვფიქრობთ, რომ ყოველივე ეს ეკონომიკური ზრდისგან მიღებული სარგებლის მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებს შორის განაწილებას უზრუნველყოფს“*.

პრეზიდენტ მარგველაშვილთან შეხვედრის დროს ქალბატონმა თავმა საქართველოს, როგორც სატრანზიტო ქვეყნის სტრატეგიული როლის გაძლიერების მნიშვნელობასთან, კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესებასთან, ინვესტიციების მოზიდვასა და უმუშევრობასთან დაკავშირებული საკითხები განიხილა.

„საქართველოსთან მჭიდრო თანამშრომლობა გვაკავშირებს და ვაფასებთ მთავრობის მზადყოფნას სტრუქტურული რეფორმების შემდგომი ეტაპის განხორციელებისთვის, რომლებიც მეტი სამუშაო ადგილის შექმნასა და ინკლუზიურ განვითარებას გულისხმობს“, განაცხადა ლორა თავმა. „ვაგრძელებთ საქართველოსთან მუშაობას, რათა მეტად განვავითაროთ ჩვენი ძლიერი თანამშრომლობა ინფრასტრუქტურის სფეროში და დავეხმაროთ ქვეყანას რეგიონის ლოგისტიკურ ცენტრად ჩამოყალიბებაში. საქართველოს რამდენიმე შედარებითი უპირატესობა გააჩნია, როგორცაა, მაგალითად, მისი გეოგრაფიული მდებარეობა, სოფლის მეურნეობა და ტურისტული პოტენციალი, ყველაზე მნიშვნელოვანი კი - ქართველი ხალხის ნიჭიერება. ამ ყველაფრის განვითარება და გამოყენება მომავალი ზრდისთვის მეტ შესაძლებლობას შექმნის და ქვეყნის ეკონომიკას კიდევ უფრო ინკლუზიურს გახდის“.

კერძო სექტორის წარმომადგენლებთან შეხვედრის დროს მხარეებმა არსებული ეკონომიკური სიტუაციის, საინვესტიციო კლიმატის, „საქართველო 2020“-ის ფარგლებში დაგეგმილი ამბიციური რეფორმების, ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცისა და ასოცირების შესახებ შეთანხმების და საჭირო უნარ-ჩვევების მქონე კადრების მოძიებასთან დაკავშირებული გამოწვევების შესახებ მოსაზრებები გაცვალეს.

საქართველოში სამუშაო ადგილების შექმნის შესაძლებლობები და ამასთან დაკავშირებული გამოწვევები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის სტუდენტებთან და პროფესორ-მასწავლებლებთან შეხვედრის დროსაც იქნა განხილული.

სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა ქალბატონ თავს ეკოლოგიურ და სოციალურ საკითხებთან, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელი ორგანიზაციების შესაძლებლობების შექმნასთან (მათ შორის მონაცემების მონიტორინგის, შეფასების, გამჭირვალობის და მათზე წვდომის კუთხით) და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სამოქალაქო ორგანიზაციების უფრო მეტად ჩართულობასთან დაკავშირებით საკუთარი ხედვა გააცნეს.

ქალბატონი თავი კახეთის რეგიონსაც ეწვია, სადაც მან შეხვედრები გამართა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან. ასევე, მონახულა მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით განხორციელებული რეგიონული განვითარების პროექტის ფარგლებში განახლებული რამდენიმე ობიექტი. კახეთში ვიზიტის დროს მას შესაძლებლობა მიეცა, ადგილზე ენახა, როგორ შეიცვალა მოსახლეობის ცხოვრება ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის, მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერისა და ტურიზმის განვითარების შემდეგ.

ქალბატონმა თავმა, ასევე, აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული მაგისტრალის აგარა-რუისის მონაკვეთის მშენებლობა მოინახულა, რომელიც მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება. მსოფლიო ბანკის ვიცე-პრეზიდენტი შავშვების დევნილთა დასახლებასაც ეწვია, რომელიც მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით აშენდა.

გაფორმების ეკონომიკურ ზონაში ვიზიტის დროს ქალბატონი თავი საბაჟო პროცესებში ეფექტურობის გაუმჯობესების მხრივ დანერგილ სიახლეებს გაეცნო. ხაზი გაესვა იმას, რომ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოს საბაჟოზე მმართველობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა და ამ სტრუქტურაში ანტიკორუფციული ზომები წარმატებით იქნა გატარებული.

თბილისში სოციალური მომსახურების სააგენტოში ვიზიტისას ქალბატონი თავი გაეცნო მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამის ფუნქციონირებას - ბენეფიციართა იდენტიფიცირების პროცესს, თუ როგორ ხდება წვდომა პროგრამაზე და რა ნაბიჯები გადაიდგა სოციალური დახმარების მონაცემთა ბაზის მართვის გაუმჯობესებისათვის.

მას შედეგ, რაც 1992 წელს საქართველო მსოფლიო ბანკს შეუერთდა, ქვეყანაში 62 პროექტი განხორციელდა. ეს დაახლოებით 2.27 მილიარდ ა.შ.შ. დოლარს უდრის, რაც საერთაშორისო განვითარების ასოციაციის კრედიტებისა და გრანტების, ასევე, რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის სესხების სახით იქნა გამოყოფილი. მიმდინარე პორტფელი თერთმეტი აქტიური საინვესტიციო პროექტისგან და ერთი განვითარების პოლიტიკის ღონისძიებისგან შედგება, რომელთა საერთო ღირებულება დაახლოებით 848 მილიონ ა.შ.შ. დოლარს შეადგენს.

საკონტაქტო პირები:

თბილისში: ინგა პაიჭაძე +995 322 913 096, ipaichadze@worldbank.org

ვაშინგტონში: ელენა კარაბანი +1 202 473 9277, ekaraban@worldbank.org

პრესრელიზი

2015/181/ECA

საქართველოში მსოფლიო ბანკის საქმიანობის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად გთხოვთ ეწვიოთ: www.worldbank.org/georgia

გვეწვიეთ Facebook-ზე: <https://www.facebook.com/WorldBankEuropeCentralAsia>

გვეწვიეთ Twitter-ზე: <http://www.twitter.com/worldbank>

ჩვენი არხი YouTube-ზე: <https://www.youtube.com/WorldBank>